რამდენიმე გამოჩენილ მედულაშვილზე

ჩვენს ეროვნულ და გვაროვნულ ღირებულებებზე

უწმინდესის კვალი საქართველოში - მოგონება, პირადი ისტორია

სიყვარული, შრომა და მადლიერება გადაგვარჩენს. სამშობლოს, ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს, გაფრთხილება სჭირდება. როცა, ზურაბ ქაფიანიძის თქმისა არ იყოს, „ადამიანიდან დაწყებული, ხის ბუჩქამდე პატივს სცემ შენი წინაპრისას ყველაფერს, მიწას და ხალხს“ და პატიოსნად ემსახურები შენს ქვეყანას, მაშინ ინახავ საძირკველს და გზას უკვალავ ღირსეულ მომავალს. წინაპრების საქმის გაგრძელებაც მადლია.

მედულაშვილების გვარის წარმოშობაზე ძირითადად სხვა ფაილში ვისაუბრე „წარმოშობა, medulaSvilebze”.doc, თუმცა ზოგიერთ ისტორიას დავამატებ კონკრეტულ რამდენიმე გამოჩენილ მედულაშვილზე. ნ.მ.

ტიმოთე მედულაშვილი პირველ მსოფლიო ომში იყო გაწვეული, ღირსეული კაცი ყოფილა - ერთხელ, გაურისკავთ **ლეკებს, არაშენდის საქონელი გაუტაცნიათ. ტიმოს წაუყვანია რამდენიმე ძლიერი თანასოფლელი, საზღვართან თავისი საძმო ჰყოლია და დაუხმარებია ვინმე „ფეხშიშველა თუში“. ბრძოლა გაუმართავთ ლეკებთან, დაუხოცავთ და უკვე გადარეკილი საქონელი წამოუყვანიათ, ლეკებისაც წამოუყოლებიათ და მთელი საქონელი გაუნაწილებიათ სოფლისთვის. თურმე პირველ რიგში ქვრივ-ობლებისთვის გადაუციათ ლეკების საქონელიო. მამაჩემს ზეზვა იმიტომ დაარქვა, რომ ვაჟა ფშაველას იცნობდა და ზეზვა გაფრინდაულის სახელი დაურქმევია შვილიშვილისათვის. ტიმო პირველ მსოფლიო ომში არის ნამყოფი, იცოდა სპარსული, აზერბაიჯანული და რუსული ენები.** მინდა დავაფიქსირო წინაპრების სახელები: ტიმოს მამა ივანე და დედა კი ნინო არსენაშვილი. მახსოვს, ნატო ბებო დიდი პატივისცემით იტყოდა ხოლმე - არსენაულიო. ეყობა ისიც ძლიერი ქალი იყო. ივანეს მამა კი იოსებ მედულაშვილი ყოფილა, რაც მოვიძიეთ არქივში. ამგვარად, მე მხოლოდ ჩემი წინა ხუთი თაობის საგვარეულო ხაზის პირდაპირი წინაპრების სახელები ვიცი მამაკაცის ხაზით და ვაპირებ მეშვიდე თაობამდე მოვიძიო სახელები. ნ.მ.

წინაპრების სურათზე ტიმოს გვერდით დგას მისი მეუღლე ნატო იაგანაშვილი, რომელმაც ვეფხისტყაოსანი ზეპირად იცოდა, ვაჟა ფშაველას პოემებსაც მიყვებოდა ბავშვობაში ზეპირად. ნატო ბაბოს დაახლ. 37 წლისას დაუკარგავს მხედველობა, მაგრამ სიბერეში მაინც მაოცებდა თავისი ნათელი გონებით და მეხსიერებით. **დიდი ვარაუდით, ეს ოჯახი იყო თავისი თაობის განსაკუთრებული წარმომადგენელი, რომელმაც შემოინახა ქართული კულტურა: ტიმო ვაჟკაცობის სიმბოლო იყო, ნატო კი განმანათლებლისა, რადგან, სავარაუდოდ, ვეფხისტყაოსანი არა წიგნიდან, არამედ გადმოცემით იცოდა, ვინაიდან მაშინ იყო ტრადიცია ვეფხისტყაოსნის ზეპირსიტყვიერებით თაობებში გადაცემისა ქალების მიერ... ალბათ ნატო ბაბო „უკანასკნელი მოჰიკანი“ იყო ისეთი თაობისა.**

ზეზვა მედულაშვილმა თავისი ბრწყინვალე თარგმანი აზერბაიჯანული ეპოსისა „ქოროღლი“ ზუსტად პაპისა და ბებოს ხსოვნას მიუძღვნა. ზეზვა მედულაშვილის მიერ ამ ნაწარმოების თარგმანი აღინიშნა „საბას“ ლიტერატურული პრემიით.

სხვათა შორის, ზეზვა მედულაშვილს აქვს დიდი წვლილი შეტანილი ვეფხისტყაოსნის სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანში. სომხურ ენაზე ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის ოფიციალური მრჩეველი იყო და ზეზვას სიტყვებით ორმოც გვერდამდე შენიშვნები დაუწერია, რამდენიმე კუპლეტი მთლიანად მე ვუთარგმნეო სომხურად...

აზერბაიჯანული თარგმანის რედაქტორი დილარა ალიევა ყოფილა და მანაც ზეზვას სთხოვა თარგმანის გადახედვა და ტექსტთან შედარება.

აი, ამგვარადაა დაკავშირებული თაობები და ასეთი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არსებობს მედულაშვილებში, ისევე როგორც, სავარაუდოდ, სხვა გვარებში. ჩვენ ხომ ისეთი ნიჭიერები ვართ, რომ ყველა გვარში გვყვავს რაღაცით გამოჩენილი პიროვნება, რომლებზეც დგას საქართველო !

ტიკო - თამაზ მედულაშვილი უკანა მხარში გამორჩეული თამადა იყო.

მედულაშვილების შანათიანთ შტოს ამ თაობების აღწერაში ერთი რგოლია გამოტოვებული, - მამაჩემის მამის - კოლასი, რომელიც 20 წლისა წაიყვანეს ჯარში და ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს. მამაჩემი იმ დღეს დაიბადა, როდესაც კოლა გაიწვიეს ჯარში შვილის უნახავად. ამ ისტორიის აღწერა ზეზვა მედულაშვილის მიერ დაწერილ მონათხრობშია „რას ნიშნავს ჩემთვის სოფელი“, რომელიც თანდართულია. შვილიშვილის დაბადების შემდეგ, ტიმო ცხენით გაჰკიდებია ჯარში გაწვეულების მატარებელს, ფანჯრებიდან თავგამოყოფილ წვეულებში შვილის სახე მოუთვალხელებია და შეუძახნია: „ შვილო, კოლავ, ბიჭი გეყოლა, ბიჭიო! „ მამაჩემს ქუდი მოუხდია და დაძრული მატარებლიდან გადმოუგდია: რო გაიზრდება, დაახურეთო. ქუდისთვის ქამარიც მოუყოლებია, იქნებ რა ხდება და ვეღარც დავბრუნდე. გაზარდეთ და შემოარტყითო... ბრესტში დაუხვდა მტერს კოლა...

სოფელი იცლება, მაგრამ არის და ყოველთვის იქნება ხალხი, რომლისთვისაც სოფელი წმინდა, ადგილის დედაა...რამდენიმე ლექსში აქვს ზეზვა მედულაშვილს სოფლის თემა. განსაკუთრებით კი ლექსში „ადგილის დედის მონატრება“

საინტერესო ისტორიაა ნანიანელ ქულაზე, ანუ ტიტლიკანას ბიჭზე, რომელიც ბეჭდაუდებელი ფალავანი ყოფილა კახეთში მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში. ნამდვილი სახელით ისაკ მედულაშვილი კულა გლდანელს შეადარეს და რამდენჯერმე გაზეთებშიც კი მოხვდა მისი წარმატების ამბავი. ქულაც დაერქვა კულასთან შედარების გავლენით. ქულას უმცროსი ძმა გოგიაც ცნობილ ფალავნად ითვლებოდა. ადრე ხშირად იმართებოდა ასპარეზობები ქართულ ჭიდაობაში. მაგ. ძველი ვერეს „ესიკოვის ცირკში“, პეტრე-პავლეს საჭიდაოზე, ტურნირები სოფ. ზიარში „უსანეთობას“, „გრანდიოზულები“ სხვადასხვა სოფელში. დღესაც კი ახსოვს ხალხს სოფ. გავაზში გრანდიოზულზე ცნობილ ფალავანთან აბდულა ლეკთან დრამატული შერკინება, სადაც ქულამ გაამართლა მასზე გამოთქმული ლექსი „გადავიდა ქულაო, ჯერ არ გალახულაო“. მას ჭიდაობაში იმდროინდელი საქართველოს ჩემპიონიც კი ჰყავდა წაქცეული. თანდართულია ქულაზე იმდროინდელი სტატია რაიონული გაზეთიდან.

ეტყობა მედულაშვილები ოდითგან მამულიშვილურ პოზიციებზე იდგნენ. გიორგი მედულაშვილის ხელმოწერა არის ცნობილ 1907 წლის ქართველი ხალხის პეტიციაზე რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს ავტონომიის მოთხოვნით ჰააგის საერთაშორისო კონგრესს გაუგზავნა 3000 კაცის ხელმოწერით. მაშინ ეს საკმაოდ საშიში ნაბიჯი იყო.

უწმინდესის კვალი საქართველოში

თავისი ცხოვრებით პატრიარქი მუდმივად ადასტურებდა ქრისტიანული ღირებულებებისა და უძველესი ქართული ღირებულებების თავსებადობას და პირადად იძლეოდა მაგალითს თუ როგორ უნდა ეცხოვრა ქართველს, რამდენად შემწყნარებელი უნდა ყოფილიყო და ამასთან, რამდენად შეუპოვარი უნდა ყოფილიყო, რამდენად განათლებული და ინტელექტუალური უნდა ყოფილიყო ქართველი, რამდენად მშენებელი და მხვნელი უნდა ყოფილიყო.

მისი მოღვაწეობის პერიოდში უამრავი გამოწვევა ჰქონდა ქართულ სახელმწიფოებრიობას და საზოგადოებას და, თითქოს ღმერთმა გამოგვიგზავნა, - ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ყველა თანაბრად ენდობოდა, თორემ კიდევ უარესად გაიხლიჩებოდა საზოგადოება.

თუნდაც „ოჯახის სიწმინდის დღის“ დანიშვნა ხომ ნამდვილად დღე-სასწაულია და მთელს გზადაკარგულ სამწყსოს პირდაპირ მიგვითითებს ორიენტირებს. დღეს ამ საკითხზეც ვისაუბრებთ, რადგან პირდაპირ არის დაკავშირებული დღევანდელი შეხვედრის თემატიკასთან.

დაკრძალვის ცერემონიაში მთლიანად საქართველოს მონაწილეობა და ერთმანეთისადმი სამძიმრის გამოხატვაც უწმინდესის ღვაწლის დაფასების მცდელობაა. თავისი გარდაცვალებითაც კი ჩვენს გაერთიანებას ცდილობდა. იქნებ დავფიქრდეთ ყველანი და დასკვნები გამოვიტანოთ, - შეგვძლებია სიყვარული და ნუღა ვჭამთ ერთმანეთს. ყველაზე მეტად ქართველების გაერთიანებისა ეშინიათ ჩვენს მტრებს, რომლებმაც უკვე პატივისცემით დაიწყეს ჩვენი დაფასება. მოდი, ყველას ვესაუბროთ, ინიციატივა ავიღოთ - რაც პატრიარქს გაუხარდებოდა, ჩვენ გარშემო ყველასთან დავამყაროთ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, სადაც უპირატესი განმკარგავი ეროვნული ღირებულებები და ეროვნული ინტერესები იქნება. როდემდე უნდა გაგრძელდეს ის დრო, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე არ გვეყუდნის, რად დაგვიჩლუნგდა ხმალი, სად არის ქართული შრომისმოყვარეობა. როგორც კი დავუბრუნდებით ჩვენს ფესვებს, მაშინვე გამოჩნდებიან ახალი რუსთველები, ბექა და ბეშქენ ოპიზრები, დავით აღმაშენებლები, ისევ დაიბადება ილია მეორე ... ამისათვის, ილია მეორის საქმე უნდა გავაგრძელოთ, ყველამ ჩვენი წილი...

ქართველების ძლიერი მხარე, სწორად ის სულიერი ღირებულებებია, რითაც გამოვირჩევით სხვა ერებისგან. ამ ღირებულებებს თუ არ ჩავეჭიდეთ, გაგვთქვეფს გლობალიზაცია. უნდა ვიცოდეთ ჩვენი ისტორია, უნდა ვისწავლოთ, განვვითარდეთ ამ სწრაფად ცვალებად გარემოში და ჩვენი ფესვები გადაგვარჩენს. გამოვიყენებ რეზო თაბუკაშვილის განმარტებას: „პატრიოტობა პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი“, რაც ნიშნავს, რომ სამშობლოს სიყვარული არა ემოციებით, არამედ საკუთარი საქმის მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი შესრულებით და სახელმწიფოსთვის ამ პროფესიონალიზმის მოხმარებით მტკიცდება. ნამდვილი პატრიოტიზმი ქმედითია და არა მხოლოდ რიტორიკული.

ნეტავ ამქვეყნად რომელ ხალხს დააბერტყა ღმერთმა ამდენი სიკეთე, ამხელა ღვთის მადლი, რომ სამი ანბანი გვაქვს, თან მთელი სამყაროა დაშიფრული ჩვენს ანბანში, ენაში - „ყოველი საიდუმლო ქართულ ენასა შინა დამარხულ არს“, მიგვიძღვის უდიდესი ღვაწლი მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში, ამხელა კულტურული

მემკვიდრეობა, ვეფხისტყაოსანი, რამდენი მოწამე და წმინდანი გვყვავს, ბოლოსდაბოლოს ამხელა მნიშვნელობის ერის მამა და საზოგადო მოღვაწე მოგვივლინა ღმერთმა როგორიც უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გვყვავს. დიახ, გვყვავს, იმ ჩვენს წინაპრებთან და ღვთიურ საქართველოში მცხოვრებთა შორის, ერთ-ერთ მლოცველად.

მე მწამს, რომ ჩვენი საზოგადოება გაერთიანდება, სრულად მიუბრუნდება ეროვნულ ღირებულებებს, დააფასებს და დაუბრუნდება თავის ფესვებს, რაც ერთადერთი შესაძლო წყაროა ერის განვითარებისა. როდესაც ადამიანს დაუსვამთ კითხვას: „ვინ ხარ შენ“, მას უნდა ესმოდეს რომ არის წარმომადგენელი თავისი გვარისა, რომელმაც ოდესღაც სისხლი გაიღო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ქართული ღირებულებების შენარჩუნებისათვის, რომელიც ვალდებულია იყოს შინაგანად ღირსეული და წმინდა და არ არცხვენდეს გვარს, ოჯახს, წინაპრების საქმეს. ქალი ოჯახის, კერისა და ღირსების მცველია, ხოლო კაცი ოჯახისა და სამშობლოს მცველია, გვარის სულიერების გამგრძელებელი.

ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა ჩვენი წინაპრებისა და ღვთის მადლის განვრცობაზე. ნებისმიერი ჩვენი ქმედება აძლიერებს, ან ასუსტებს ოჯახისა და საზოგადოების საფუძვლებს. ამიტომ, მატერიალური მხარის გარდა, დიდი ყურადღებით მოვეპყროთ ჩვენს სულიერ შემადგენელს, ანუ ჩვენში ღმერთის ნაწილს. ვისწრაფვოთ გარდაქმნისა და სულიერი განწმენდისკენ. ჩვენი ცხოვრება, გარკვეულწილად, სანთელივით წვაა და სხვების განათების შესაძლებლობაც ჩვენი ღვთიური ვალია.

მე გეტყვით, რომ მე ვარ მედულაშვილი, მე მაქვს ძლიერი ფესვი, არ ვარცხვენ ჩემი წინაპრების დატოვილ სულიერ მემკვიდრეობას, ვიღებ პასუხისმგებლობას ღმერთისა და გვარის წინაშე ოჯახზე, საზოგადოებაზე და სამშობლოზე.

ჩვენს გვარს აქვს ინტერნეტში ვებ-გვერდი medulashvili.ge სადაც დადებულია ინფორმაცია გვარის შესახებ, წარმატებული მედულაშვილების შესახებ. ასევე დადებულია საინტერესო ბმულები ქართული ანბანის, ჰემატრიის, ქართული გვარების შესახებ. ეს არის ადგილი, სადაც ყველას შეუძლია დადოს საოჯახო სურათები, წინაპრების სურათები, ისტორიები, სიახლეები გვარის შესახებ. ყველას შეგვიძლია ერთმანეთთან ურთიერთობა, გავცვალოთ აზრები, გვქონდეს მსჯელობა ღირსების, ქართული საქმის, გვაროვნული პასუხისმგებლობის შესახებ. მაგ. არის ასეთი ტექსტი: „როგორი უნდა იყოს მედულაშვილი“, ან „მედულაშვილების გვარი“ და სხვ. ეს არის საკუთარი გვარის შეფასების შესახებ მოსაზრება, რაც გვარის რამდენიმე წევრმა წარადგინა და საფუძვლად უდევს გვაროვნული მახასიათებლებზე მრავალწლიანი დაკვირვება. რა თქმა უნდა, გვარის ახალგაზრდა წარმომადგენლებს ეს ტექსტები დაეხმარება გვარის თავისებურებების გაგებაში და თავისი ფესვების დაფასებაში, სულიერად გაძლიერებაში და სწორი მიმართულებით განვითარებაში, რაც შედეგად, გააძლიერებს ქართულ საზოგადოებას. აქვე ქვეყნდება სხვა გვარის წარმომადგენლების თემატური სტატიებიც. მაგ. ღირსეული მაღრაძეთა გვარის წარმომადგენლის ბ-ნი ზელიმხან მაღრაძის „ვინ ხარ შენ“, სადაც განხილულია ჩვენი ძირითადი ღირებულებების დაცვის მნიშვნელობა. და რადგან ჩვენს დღევანდელ თემას ეხმაურება, წაგიკითხავთ ნაწყვეტებს:

„გვარიშვილობა, ეს ის უხილავი საუნჯეა, რომლითაც მერე ჩვენ ვცოცხლობთ, ვამაყობთ, ვცხოვრობთ და ვირჯებით, რომ დასაბამი მივცეთ სხვა სიცოცხლეს, და გამრავლდეს ქართული გვარ-ჯიში.“

„ახლა წარმოვიდგინოთ სახლიდან გასული რომელიმე გვარის მატარებელი ადამიანი - ქალი, კაცი, ბიჭი, გოგონა, მოხუცი. მან ზურგს უკან მიიხურა კარები და აღმოჩნდა ქუჩაში; მან, მისდაუნებურად, ოჯახის და გვარის ღირსება, როგორც დროშა წაიმძღვანა წინ და ის, თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის ახლა თავის გვარს და ოჯახს წარმოადგენს. მას თან მიაქვს წინაპრებისგან წვეთ- წვეთ ნაგროვები ღირსება, სინდისი ნამუსი, რითაც გვარი ამაყობს, აი ამ უხილავ დროშა-ბაირაღში რომ დავანებულა და ამით მოაქვს თავი. მერე მთავარი ის არის, თუ რა მდგომარეობაში დააბრუნებს ამ სანუკვარ საგვარეულო დროშას სახლში, რამდენი ლაქა იქნება დროშაზე რამდენი ადამიანის ლოცვა მოჰყვა მას ფეხდაფეხ, რითაც გაამდიდრებს და გააბრწყინებს მას. მნიშვნელოვანია ყველაფერი; როგორი ლექსიკონით საუბრობს, როგორ იქცევა, რა აცვია და ახურავს.

წინაპრების კოვზით ნაგროვებ სინდისს ნიჩბით თუ მიადექი და გაფანტე, ან ქარს მიეცი, რაღა გვარიშვილი ხარ შენ !”

„სანთელივით თუ არ დაიწვი, ისე ქვეყანას ვერ გამოადგები, ვერც ოჯახს; არადა წვის ჟამია ადამიანს პიროვნებად რომ აქცევს. უბრალო სანთელი სანამ თაროზე დევს, ის საგანია; საკმარისია ავანთოთ და სინათლესთან ერთად სითბოსაც გვჩუქნის. ესეიგი ის ზრუნავს ჩვენზე, გვინათებს გზას, რომ არ გადავიჩეხოთ, მაგრამ ის იწვის და ნადგურდება, ჩვენი კეთილდღეობისთვის ნადგურდება, და თავს სწირავს. თავგანწირვა, აი რა არის ქართველისთვის ცხოვრების მიზანი.: - იყო შენი ქვეყნის და შენი გვარის ღირსეული შვილი, შენში გამოძერწო რაინდი, გქონდეს თავგანწირვის ნიჭი, მერეც რომ იცოცხლო მუდამ!!!

თავი მაღლა ასწიე მეგობარო და თუ გკითხონ ვინ ხარ შენ? - თამამად უპასუხე, რომ ხარ ქრისტეს მიმდევარი, ქართველი და იამაყე ამით; და გახსოვდეს რითი და რატომ ამაყობ. ის შენი წინაპარ თანამემამულეთა სისხლითა და ოფლითაა მოპოვებული, აკვანთან უძილო ღამეებითა და ვენახ-ჯეჯილზე ზრუნვით მოტანილი დღევანდელი დღე... ნუ წაახდენ ამას, თუკი ვერაფერს შესძენ!!!“

გირჩევთ, წაიკითხოთ მთლიანი სტატია, რაც შემოკლებული სახით ლიტერატურულ საქართველოშიც გამოქვეყნდა.

აუცილებლად უნდა გავიხსენო პარტიარქთან დაკავშირებული ერთი სულისშემხები შემთხვევა ჩემი პირადი გამოცდილებიდან.

დაახლ. 25 წლის წინ მე ვიყავის შავნაბადის მონასტრის მრევლი არქიმანდრიტი მამა შიოს (გაბრიჭიძე) დროს (ნათელში იყოს მისი სული). მამა შიოსთან ერთად რამდენჯერმე შევხვედრივარ პატრიარქს პირისპირ. ეტყობა პატრიარქს ახსოვდა, ან მამა შიომ შეახსენა რომ იაპონურ კომპანიაში ვმუშაობდი და მთხოვეს, იქნებ სამების ეკლესიის ეზოს დაგეგმვაში იაპონური ბაღის მოწყობის თეორიაც გამოვიყენოთო და, კარგი იქნებოდა, ასეთი სახელმძღვანელო რომ ჩამოგეტანაო. ერთ-ერთ ვიზიტზე, მახსოვს, იაპონური ოფისის მთელი შტატი რომ ვარბენინე ამ მასალის მოსაძებნად. სულ

ოთხი სხვადასხვა სახელმძღვანელო, თავისი კატალოგებით მიპოვეს ინგლისურ ენაზე. ჩამოვიტანე და გავუგზავნე პარტრიარქს „შავნაბადის მრევლის სახელით“.

გავიდა დაახლ. თხუთმეტი წელი ამ ამბიდან. სამებაც გაიხსნა ამასობაში და, მეგობრებთან, შემთხვევით, სუფრაზე ტრაბახით გავიხსენე ეს შემთხვევა. ამ საუბარს შეესწრო მამაჩემი, ზეზვა მედულაშვილი, რომელმაც საოცარი ამბავი გაიხსენა: „ნახე, შვილო, ღმერთი როგორი სამართლიანი და შეუცნობელიაო. 1990 წელს ილია მეორის მცდელობით, ჯერ კიდევ საბჭოთა დროს, ბიბლია რომ გამოიცა, მაშინ მწერალთა კავშირიდან მეკუთვნოდაო ბიბლიის მიღება, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემს სახელზე მოსული ბიბლია დროზე ვერ ავიღე და სხვაზე განაწილდაო. მე ვეცადე როგორმე მიმეღო ბიბლია, მაგრამ უარი მეთქვა, რადგან განაწილება დამთავრდა, თუმცა არ შევეგუე და გადავწყვიტე, რომ შეიძლება საპატრიარქოს დარჩა რამდენიმე თავისუფალი წიგნი და იქნებ იქიდან მიმეღოო. მივედი საპატრიარქოს ადმინისტრაციაში და ამ საკითხზე ვესაუბრებოდი საპატრიარქოს პასუხისმგებელ პიროვნებას, რომელიც ასევე უარს მეუბნებოდაო... ცოტა დიდ ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი და ამ დროს, გვერდითა ოთახიდან გამოვიდა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, რომელსაც გაეგო ჩვენი საუბარი. ხელში ეჭირა ბიბლია, გამომიწოდა და მითხრა, აი შვილო ჩემო მე მაქვს თავისუფალი ეგზემპლარი და ჩემს წიგნს დაგითმობო. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, მაგრამ მსუბუქად გადაიტანა საუბარი და დამამშვიდა, მე მაინც მოგვიანებით მომიტანენ სხვა ეგზემპლარს და შემიძლია თავისუფლად გადმოგცეთო ეს წიგნი. მაშინ მე ძალიან მადლობელი დავრჩი და არასოდეს დავივიწყებ ამ შემთხვევას. ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი და, რადგან პატრიარქი გამიჩერდა ცოტა ხანს სასაუბროდ, ისიც კი გავახსენე, რომ ოდესღაც მე თარჯიმანი ვიყავი მასა და პარტიარქ ვაზგენს შორის, სომხეთის პატრიარქის საქართველოში ვიზიტის დროს. ამაზე კიდევ სხვა ისტორიაა და აქ არ მოვყვები„. ამ ფაქტს ვერ გავიგებდი, შემთხვევით რომ არ ამოწეულიყო იმ საუბარში...

მაგრამ, მამაჩემმა აღნიშნა თურმე როგორ მრავლდება სიკეთე, რაც უწმინდესს და უნეტარესს მრავლად აქვს გაკეთებული...